საქართველოს მთავრობის

დადგენილება №498

2014 წლის 15 აგვისტო

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურების და მათი განაკვეთების“ მე-14 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

			პირებისათვის (მათ შორის, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისათვის), რომელთა ერთობლივი შემოსავალი 10 000 000 ლარზე მეტია, აგრეთვე, არარეზიდენტი პირებისათვის - 10 000 ლარი; პირებისათვის (მათ შორის, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისათვის), რომელთა ერთობლივი შემოსავალი 10 000 000 ლარზე ნაკლებია – 5 000 ლარი. შენიშვნა: საფასურის ოდენობის მიზნებისათვის ერთობლივი შემოსავალი განისაზღვრება პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბოლო საშემოსავლო/მოგების

„14	საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა (გარდა 48-ე და 49-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	90 კალენდარული დღე	გადასახადის წლიური დეკლარაციის მიხედვით. თუ პირს აღნიშნული წლიური საგადასახადო დეკლარაცია არ აქვს წარდგენილი საგადასახადო ორგანოში, საფასურის ოდენობა შეადგენს 5000 ლარს.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**